ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციის ჩატარების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე ჩატარდეს ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
2. კონფერენცია ჩატარდეს ყოველი წლის გაზაფხულის სემესტრის სასესიო პერიოდის ბოლო კვირაში.
3. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნეს:
   3.1. დოქტორანტების მიერ შესრულებული სამუშაო;
   3.2. საბაკალავრო ნაშრომები;
   3.3. სამაგისტრო ნაშრომები;
   3.4. ჯგუფური პროექტები;
   3.5. პროექტები.
4. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდეს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შესრულებული საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების, პროექტებისა და ჯგუფური პროექტების საჯარო დაცვა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურდება კონფერენციაზე სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა.
5. წარმოდგენილი მოხსენებების შეფასება მოხდეს შესაბამისი კომისიების მიერ არსებული წესის შესაბამისად.
6. კონფერენციას მუშაობაში მონაწილეობა – მოხსენება, სავალდებულოა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
   6.1. დოქტორანტებისთვის;
   6.2. მაგისტრატურის იმ სტუდენტებისთვის, ვინც სამაგისტრო ნაშრომს ასრულებს;
   6.3. ბაკალავრიატის იმ სტუდენტებისთვის, ვინც ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს, ჯგუფურ პროექტს, პროექტს.
7. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა რეკომენდებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა იმ სტუდენტისთვის, რომელიც ასრულებს სამეცნიერო–კვლევით სამუშაოს.
8. კონფერენციაში მონაწილეობა ნებადართულია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის.
9. შეიქმნას კონფერენციის ვებ გვერდი. ვებ გვერდმა უნდა უზრუნველყოს:
   9.1. მონაწილეთა რეგისტრაცია;
   9.2. რეგისტრაციის ავტომატურად გაუქმება არასრულად წარმოდგენილი მასალის შემთხვევაში რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ;
   9.3. ავტორიზებული მომხმარებლის მიერ შესაბამისი მასალების განთავსება;
   9.4. ძიება სტატუსის, დეპარტამენტის, საკვანძო სიტყვების საშუალებით;
   9.5. დინამიურად განახლებადი სტატისტიკა.
10. დაევალოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეიმუშაოს Ms Word და Tex შაბლონები

10.1. სამაგისტრო ნაშრომისთვის;
10.2. საბაკალავრო ნაშრომისთვის;
10.3. ჯგუფური პროექტისთვის;
10.4. პროექტისთვის;
10.5. დამტკიცების შემდეგ შაბლონები განთავსდეს ფაკულტეტის და კონფერენციის ვებ გვერდზე.

11. კონფერენციაში მონაწილეთა რეგისტრაცია
11.1. დაიწყოს გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე;
11.2. დასრულდეს კონფერენციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

12. სტატუსის შესაბამისად კონფერენციის მონაწილემ უნდა ატვირთოს ვებ გვერდზე
12.1. ნაშრომი pdf ფორმატში;
12.2. სადემონსტრაციო პროგრამული ფაილი.

13. კონფერენციის შედეგები განხილული იქნეს ფაკულტეტის საბჭოზე.